პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 4 (14000) | შაბათი, 6 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

სტარტზეა 1968 წელი

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში კარგად არის ცნობილი ხარატ ანზორ ბერბაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა. კოლექტივი ელმავლისათვის 140 სხვადასხვა დეტალს ამზადებს. მოწინავე ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალხარისხოვანია.

უკვე სამი თვეა, რაც ბრიგადა 1968 წლის ანგარიშში მუშაობს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ინჟინერ კ. თაბუკაშვილსაც, რომელიც შეფობას უწევს ბრიგადას.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გორგაძე, ინჟინერი კ. თაბუკაშვილი, ბრიგადის წევრები: ა. გოლოშვილი, ა. ნიკაბაძე და შ. ბურდული ეცნობიან ელმავლის ახალ დეტალს.

ფოტო ხ. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი წლის პირველი დღეები

ენგურჰესი. წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი ენგურჰესის მშენებლებმა. 2 იანვარს მშენებლობაზე სულ შეხრულებულ იქნა 1 მილიონ ასი ათასი მანეთის ხამუშაო.

ახალი წლის პირველსავე ხამუშაო დღეს 450 ათას მანეთზე მეტი ხამუშაო შეასრულა ძალოვანი კვანძის ხამშენებლო სამმართველომ (უფროსი აკ. ცნობილაძე). ამ კოლექტივის გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს.

ლ. ბარქაია.

ამუშავდა ახალი ჩარხი

ათამდე სხვადასხვა ახალი მოდელის ჩარხი ითვისა გასულ წელს თბილისის კროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. გამოშვებული პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაიგზავნა.

გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ქარხნის მექანიკურ საამწყობო საამქროში, სადაც სპეციალური მძიმე ჩარხები მზადდება, მიიღეს შეკვეთა ბულგარეთიდან, საამქროს კოლექტივმა, რომელსაც თ. პაიჭაძე ხელმძღვანელობს, მოკლე ვადაში შეძლო ახალი ორგინალური ჩარხის „2ა—90მ“-ის კვანძების აწყობა და ახალი წლის მეორე დღეს აამუშავა კიდეც. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ახალი ორგინალური მძიმე ჩარხი ავტომატური ხაზისათვის არის განკუთვნილი და გამოყენებული იქნება მილდამამუშავებელ მრეწველობაში. მასზე ავტომატურად მოხდება მილის დამუშავების ერთ-ერთი რთული პროცესი — ხრახნის მოკრა.

ახალი ჩარხის ამუშავებაზე კარგად იმუშავეს ამწყობმა ზეინკლებმა გ. ივანელაშვილმა, ვ. ხუბულურმა, ელექტრიკოსმა გ. სანდელაშვილმა, ზეინკალ-გამმართველებმა ა. შელუგოვმა, ლ. სტანკევიჩმა და სხვებმა.

ხუთწლედის ვადამდე შესრულების საპატიო ვახტზე მდგომმა თბილისელმა ჩარხშენებლებმა წარმატებით დაიწყეს ახალი წელი. მათი ვალდებულებაა მიმდინარე წლს ხუთი ახალი მოდელის სპეციალური მძიმე ჩარხი აითვისონ და გაუგზავნონ ჩვენი ქვეყნისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მძიმე მრეწველობას.

კარგი დასაწყისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ვადაზე 10 დღით ადრე უპატაკეს სამშობლოს გასული წლის დავალების შესრულება, კარგი სტარტი აიღეს ხუთწლედის მესამე წელს.

დიდი აღმავლობით დაიწყო ახალი წელი ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. რიტმულად მუშაობენ და დავალებას გადამეტებით ანაღდებენ ავტომატების, № 2 და № 3 სამსმელო საამქროებისა და მთავარი კონვეიერის კოლექტივები.

2 და 3 იანვარს ქართული ავტომობილის მშენებლებმა უნაგირა ავტოსაწყვრები და ნახევარმასამღლები გაგზავნეს მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, როსტოვში, ყაზანში, სვერდლოვსკში, კემეროვოში, ტამკენტში, იაკუტსკსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა ახალი წლიდან დაიწყო 2 ახალი სახის მოდერნიზებული ცენტრიდანული ტუმბოების სერიული წარმოება და საგამოცდოდ მომზადა ახლადათვისებული „ჰედ-55“ ტიპის ჩასაყვანი ელექტროძრავების პირველი პარტია.

რიტმულად მუშაობს სატრაქტორო ქარხნის კოლექტივიც. ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა თერმული უბანი, რომელსაც შ. ვალიევი უძღვება. აქ მარტო ორ დღეში გეგმის ზევით გამოშვებულია 250 ცალი ტრაქტორის კბილანა და დიდძალი სათადარიგო ნაწილები.

ლენინის სახელობის მაღლის ფაბრიკის კოლექტივმა ორ დღეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 300 კილოგრამი ნართი, 600 მეტრი ხამი ქსოვილი და 500 მეტრი შალის მზა ქსოვილი.

ახალი წლის მარტო ორ დღეში № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა სამშობლოს 22 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაუგზავნა. აქ ყველას უსწრებს № 1 სამკერვალო საამქრო, რომელსაც ნ. ციერეკიძე ხელმძღვანელობს.

მაღალნაყოფიერად დაიწყეს ახალი წელი აგრეთვე ლითონფონის და მინის ტარის ქარხნების, აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატების, ავეჯის, ბამბეულის საქსოვი, ტრიკოტაჟისა და № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

თვითეული კომუნისტის ღვიძლი საქმე

დიდებულ დღეებს განაცდის ჩვენი ქვეყანა. 1968 წელი მძლავრი შრომითი შემართებით დაიწყეს საბჭოთა ადამიანებმა. კომუნისტები და კომკავშირელები ახალი ამოცანების გადაწყვეტის ავანგარდში არიან.

ახლა, როცა კომუნისტური პარტია წყვეტს დიდ და რთულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ამოცანებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნისტების, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. ეს ხაზგასმით აღნიშნა პარტიის XXIII ყრილობამ და მის სისწორეს ყოველდღე ადასტურებს ცხოვრება.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩვენი პარტიის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. იდეოლოგიური მუშაობა მთელი პარტიის, ყველა კომუნისტის საქმეა. თვითეული კომუნისტი პოლიტიკური მებრძოლია და მისი უპირველესი მოვალეობა ის არის; რომ ყველგან განმარტავდეს პარტიის პოლიტიკას, აქტიურად იბრძოდეს მისი განხორციელებისათვის. ცხადია, ამ მოვალეობის წარმატებით შესრულება შეუძლიათ იმ კომუნისტებს, რომლებიც ღრმად არიან დაუფლებული მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხაქართველოს პარტიულ ორგანიზაციებშიც წარმატებით დაიწყო მიმდინარე ხასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში. მისი იდეური შინაარსი კიდევ უფრო გაამდიდრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადებამ. გაიზარდა ინტერესი თეორიის შესწავლისადმი. ახლა კომუნისტები და უპარტიო აქტივი უფრო ბეჯითად სწავლობენ რევოლუციურ მოძღვრებას. საიუბილეო წელმა ახალი ეტაპი შექმნა პარტიული ორგანიზაციების, მათი პროპაგანდისტების შემოქმედებითის ძიებაში. უფრო სრულყოფილი გახდა საგაკვაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში კომუნისტების ჩაბმის პრაქტიკა. ამ მიმართულებით მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინეს ჩვენი დედაქალაქის, ქუთაისის, ხოხუმის, ბათუმის რუსთავის, ცხინვალისა და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ხულ უფრო უმჯობესდება პოლიტიკურ ლიტერატურაზე მსმენელთა დამოუკიდებლად მუშაობის პრაქტიკა.

ამასთან ერთად არ შეიძლება ითქვას, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა ყველგან მაღალ დონეზე დგას. პირველწყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობა ჯერ კიდევ არ გამხდარა სწავლების ძირითადი მეთოდი. სასწავლო წლის პირველ შედეგებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ ზონალურ თათბირებზე აღინიშნა, რომ პოლიტიკური განათლების იდეური დონე, მისი შინაარსი და ხარისხი მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ჩამორჩება სადღეისო ამოცანებს. შემოწმების მასალები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთ წრეებსა და ხემინარებში ერთსა და იმავე დონეზე ტარდება მეცადინეობა, მსმენელებს არ სთხოვენ წაიკითხონ ცალკეული თეორიული პრობლემების შესასწავლად პირველწყაროები, მარქსის-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

უდავოა, რომ ბევრ შემთხვევაში მეცადინეობას აკლია პოლიტიკური სიმწვავე, ქმედითობა, მსმენელები თითქოს მშრალად იზეპირებენ ცალკეულ ტექსტებს. ამიტომ ხდება ხოლმე, რომ შემაჯამებელ მეცადინეობაზე მთავრდება მსმენელის „მომზადებაც“. ასეთი მსმენელები სკოლებისა და ხემინარების დამთავრების შემდეგ სუსტად არიან მომზადებული მასებში პოლიტიკური მუშაობისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლებში და ხემინარებზე კომუნისტებმა უნდა შეიძინონ არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ მარქსისტული მეთოდოლოგიაც, იმის უნარიც, რომ შეძენილი ცოდნა გამოიყენონ. პრაქტიკულ ცხოვრებაში.

კომუნისტის მშენებლობის ამოცანების კვალობაზე იზრდება კომუნისტების პასუხისმგებლობა თავიანთი ცოდნისათვის, თავიანთი იდეური დონისათვის, ვ. ი. ლენინი, როცა ქმნიდა ჩვენს პარტიას, ამბობდა: „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც“. ან კიდევ: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“. ჩვენს დროში ახალი ძალით ეღერს ბელადის ეს სიტყვები.

ახლა ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ თვითეული კომუნისტის ინტერესი პოლიტიკური სწავლებისადმი. პროპაგანდისტის როლი სწორედ ის არის, რომ კვალიფიციური დახმარება გაუწიოს მსმენელებს, წარმართოს მათი მისწრაფება დამოუკიდებლად და ღრმად გაერკვნენ თეორიულ პრობლემებში. ამასთან მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლის სურვილს მარტო ის როდი განსაზღვრავს, თუ რამდენად საინტერესოა ლექცია ან საუბარი, არამედ თვით კომუნისტის საწესდებო შეგნებულობა — მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმში. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თვითეული კომუნისტი ჩავაბათ ყოველდღიურ, ღრმად, დამოუკიდებელ მუშაობაში, დავეხმაროთ მას და შევუქმნათ პირობები პრაქტიკულად გამოიყენოს მიღებული ცოდნა.

უდავოა, რომ ინტერესი პოლიტიკური სწავლისადმი მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო ღრმად გავიაზრებთ თანამედროვე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა იდეური მემკვიდრეობის საფუძველზე, რაც უფრო სწორად შევახამებთ წარსულის რევოლუციურ გამოცდილებას თანამედროვეობის პრობლემების გადაწყვეტასთან. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძვლების დაუფლება შეუძლებელია ისე, თუ არ იქნება პარტიის პოლიტიკის მეცნიერული ანალიზი. მომავალშიც უნდა განვაგრძოთ პოლიტიკური განათლების სისტემაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და პარტიის საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლა. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებული დოკუმენტები, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა 50 წელი“ და სხვა მასალები. მათში ყოველმხრივ განზოგადებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული გამოცდილება, დასაბუთებულია კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, მიმდინარე წლის მაისში აღინიშნება კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავი. ამ მნიშვნელოვანი თარიღებისათვის მზადებამ უნდა მოგვცეს იდეოლოგიური მუშაობის ახალი გაქანება. აქედანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ კომუნისტებმა შეისწავლონ ლენინის თეორიული მემკვიდრეობა, მარქსიზმის ძირითადი ნაწარმოებები. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის რაიონული, ხაქალაქო და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობით აქედანვე უნდა განსაზღვრონ ლენინის ნაშრომები, კ. მარქსის ნაწარმოებთა მინიმუმი, რომელთა შესწავლა აუცილებელია პოლიტგანათლების ცალკეული რგოლებისათვის.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო სრულვყოთ პოლიტიკური განათლება, კომუნისტები დაეუფლონ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, მივცეთ იდეოლოგიურ მუშაობას ახალი გაქანება. ყველა ეს ამოცანა რეალურია და იგი რეხპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით უნდა გადაწყვიტონ.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ტიუმენში ჩავიდა

ტიუმენი, 4 იანვარი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის ვიზიტის გამო

პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 9 იანვარს ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის 8 წლისთავთან და ასუანის ჰიდროკვანძის პირველი აგრეგატების ოფიციალურ ამუშავებასთან დაკავშირებულ ზეიმობაში მონაწილეობის მისაღებად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩავა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ტ. მაზუროვის მეთაურობით. (საკდესი).

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი ეწვევა საბჭოთა კავშირს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1967 წლის თებერვალში დიდ ბრიტანეთში ყოფნის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ინგლისის მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი მიიპატიჟა ეწვიოს საბჭოთა კავშირს საპასუხო ვიზიტით, როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი.

აღვანიშნავ, რომ ჰ. ვილსონის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში მოეწყობა 1968 წლის 22-დან 24 იანვრამდე.

ყაზანის ვ. ი. ლენინის მუზეუმში

ყაზანი. (საკდესის კორ.). 3 იანვარს ხანგრძლივი სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ გაიხსნა ყაზანის ვ. ი. ლენინის მუზეუმი. მუზეუმს შეემატა დიდი საექსპოზიციო დარბაზი, რომელშიც მოეწყო გამოფენა „ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის ბელადი“.

მუზეუმის მემორიალურ ნაწილში ყველა ოთახი, მათ შორის ვლადიმერ ილიას ძის ოთახიც, მთლიანად აღდგენილია ისე, როგორიც იყო 80 წლის წინათ.

დავიწყეთ მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, თქვა მუზეუმის დირექტორმა კ. გ. ვალიდოვამ. ამ თარიღისათვის შეიცვლება ექსპოზიციაც.

დუგნის სტუმრები

ორ დღეს იყვნენ დუბნის ატომური კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში ცნობილი ფრანგი მეცნიერები პროფესორი ანდრე ლაგარიკი და დოქტორი ჟან ვიეე.

პროფესორი ლაგარიკი საფრანგეთში მეთაურობს დიდი ექსპერიმენტული დანადგარის — მრავალკუბიანი პროპანული ბუშტოვანი კამერის მშენებლობას. ამიტომ იგი დუბნაში განსაკუთრებით დაინტერესა ორმეტრიანმა პროპანულმა კამერამ, რომლის მშენებლობა მთავრდება. ფრანგმა მეცნიერმა საკუთარ კორესპონდენტს უთხრა, რომ ეს დანადგარი, რომელიც მ. ი. სოლოვიოვის იდეით კეთდება, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი მოგცემთ დღემდე მეცნიერებისათვის მიუწვდომელ ენერგიათა პირობებში ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთმოქმედების კვალის უნიკალურ ფოტოსურათებს. (საკდესი).

პრაქტიკაში

ლენინგრადი, 4 იანვარი. (საკდესი). არქტიკაში მუშაობა დაამთავრა მაღალი განედის სპეციერო ექსპედიციამ „ჩრდილოეთი-19“-მა, რომელსაც ეკისრებოდა ყველაფრით უზრუნველეყო ზამთრის პერიოდში მოდრეიფე სამეცნიერო სადგური „ჩრდილოეთი პოლუსი-15“.

უჩა ჯაფარიძის იუბილეს გამო

60 წელი შეუსრულდა ფუნჯის გამოჩენილ ოსტატს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ უჩა მალაქიას-ძე ჯაფარიძეს. ოთხი ათწლეულის მანძილზე ახარებს თვი ხელოვნების მოყვარულთ თავისი დიდი ტალანტით. მხცოვანმა მხატვარმა აღზარდა ახალგაზრდა მხატვრების მთელი პლეადა, რომელთა ნამუშევრებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს.

ამ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა საიუბილეო კომისია რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ხ. ლეჟავას თავმჯდომარეობით.

გაიმართა საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ უჩა ჯაფარიძის დაბადების 60 წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება 29 იანვარს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მხატვრის ნამუშევართა გამოფენა გაიხსნება საქართველოს ხელოვნების გალერეაში. გამოფენაზე ეექსპონირებული იქნება ყველა ნაწარმოები, რომლებიც მხატვარმა 40 წლის მანძილზე შექმნა. გამოვა აგრეთვე ღია ბარათები უჩა ჯაფარიძის ნაწარმოებთა რეპროდუქციებით.

იუბილეს დღეებში გაიმართება მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. გათვალისწინებულია გამოიცეს სტატიების კრებული უჩა ჯაფარიძის შესახებ. საიუბილეო საღამოები გაიმართება აგრეთვე რუსეთის სხვა ქალაქებში. (საქდესი).

ზაქარია ყაველაშვილს გადაეცა საქკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელი

რუსთავი, 6 იანვარი (საქდესის კორ.). გუშინ, ნაშუადღევს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა პირველი მარტენის ღუმელის მეფოლადე ზაქარია ყაველაშვილისათვის საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელის გადაცემას. ეს ჯილდო რუსთაველმა მეფოლადემ მიიღო იმ წარმატებებისათვის, რომლებსაც მიაღწია ლითონის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრებაში და 1967 წლის 24 დეკემბერს მესამოცეული ტონა ფოლადის ანგარიშში დამამთავრებელ დნობაში მონაწილეობისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სახელით ზაქარია ყაველაშვილს საპატიო სიგელი გადასცა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. კიკნაძემ. მან სახელმოხვეჭილ მეფოლადესა და მის ბრიგადას მიულოცა საიუბილეო წელს მოპოვებული შესანიშნავი წარმატებანი.

საიუბილეო დნობის ყველა მონაწილეს — დამმბარე მეფოლადეებს, მეკაზმეებს, ჩამომსხმელებს — გადაეცა ფასიანი საჩუქრები.

საზეიმო კრებაზე ზაქარია ყაველაშვილის ბრიგადას გამარჯვება მიულოცეს ქარხნის დირექტორმა ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. შარაძენიძემ, მეფოლადემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. სებისკვერაძემ, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ხარბედიამ, მარტენის საამქროს უფროსმა შ. ღიბრაძემ და სხვებმა.

მადლობა გადაიხადა რა იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მისი ბრიგადისადმი გამოიჩინეს, ზაქარია ყაველაშვილმა ვალდებულება იკისრა იშრომოს უკეთ, ვადამდე შეასრულოს 1968 წლისა და ხუთწლედის დავალებანი.

ამაცოცხლისათვის, ინიციატივისა და სიმტკიცისათვის

საბჭოთა არმიის სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გერმანელ-ფაშისტთა ჯარების ზურგში დიდი სამამულო ომის პერიოდში და ამ დროს გამოვლენილი მამაცობისათვის, ინიციატივისა და სიმტკიცისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე პროკოფიევ-ძე კურილოვიჩი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა არმიის სარდლობისადმი აქტიური დახმარებისათვის გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დიდი სამამულო ომის პერიოდში და ამ დროს გამოვლენილი მამაცობისათვის, ინიციატივისა და სიმტკიცისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი: I ხარისხის სამამულო ომის ორდენით — იოზეფ გლუხა, კარელ ცირინი, შტეფან შაგური; II ხარისხის სამამულო ომის ორდენით — იოზეფ კაჯა, ვავრინიც კორჩიში, იოზეფ ოლივა (სიკვდილის შემდეგ) იულიუს ფილიპი, ფრანტიშეკ ხლადი (სიკვდილის შემდეგ), ვერა ცირინოვა, იოზეფ ჩიეინსკი.

დიდი სამამულო ომის საბოლოო ეტაპზე, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მიერ ოკუპირებულ ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებდა საბჭოთა სამხედრო მზვერავთა ჯგუფი ივანე პროკოფის-ძე კურილოვიჩის მეთაურობით.

უკრაინის ფრონტის სარდლობის დავალებათა შესრულებაში მზვერავებს დიდი დახმარება გაუწიეს ჩეხმა პატრიოტებმა შტეფან შაგურმა, იოზეფ გლუხამ, კარელ ცირინმა, მათმა ნათესავებმა და ამხანაგებმა, რომლებიც პრაღის მახლობლად ცხოვრობდნენ.

სამხედრო მზვერავთა ჯგუფი ესპანეთში ინტერნაციონალური ბრიგადის ყოფილი მებრძოლის, 1943-1944 წლებში ლვოვის იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ივანე კურილოვიჩის მეთაურობით, რამდენიმე თვის მანძილზე აგროვებდა და რადიოთი ფრონტის ხაზზე გადასცემდა დიდმნიშვნელოვან ინფორმაციას პრაღის რაიონში ჰიტლერელთა ჯარების დისლოკაციის შესახებ, ელბასა და ვლტავაზე თავდაცვითი ნაგებობების, ფაშისტთა ჯარების გადაყვანის შესახებ.

ჰიტლერელთა თვალწინ მზვერავებისათვის დიდმნიშვნელოვან ცნობებს კრეფდნენ და თავიანთ სახლებში მალავდნენ, ყოველდღიურად საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ იოზეფ კაჯა, ვავრინიც კორჩიში, ფრანტიშეკ ხლადი, იოზეფ ოლივა, იულიუს ფილიპი, ვერა ცირინოვა. პრაღის გესტაპოს აგენტთა სიახლეში ჩაიგდო და მზვერავებს გადასცა იოზეფ ჩიეინსკიმ.

ხელო იგდეს რა პატრიოტები, გესტაპოელებმა ისინი კურილოვიჩთან ერთად პრაღის საპატიმრო პანკრაცში დაამწყვდიეს. ფაშისტთა ვერავითარმა მხეცობამ და წამებამ ვერ გატეხა მამაცთა ნებისყოფა. მათ ემუქრებოდათ დახვრეტა გესტაპოს საპყრობილეებში, მაგრამ აჯანყებულმა პრაღელებმა გათავისუფლეს ისინი. (საკდესი).

სსრ კავშირის საავტერინარო წესდება

1968 წლის 1 იანვრიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ახალი საავტერინარო წესდება. წესდებაში დაზუსტებული და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და კერძო პირების მოვალეობანი, თუ როგორ შეასრულონ პირუტყვის შენახვის ვეტერინარულ-სანიტარული წესები. ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობა უწესდება ყველა სახეობის შინაურ პირუტყვს, აგრეთვე ფრინველს, ბეწვიან და ზოოპარკის ნადირს, თევზსა და ფუტკარს.

ძლიერდება კონტროლი სახელმწიფო საავტერინარო სამსახურის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ამ სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნები ადგილებზე, ისევე როგორც წინათ, სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და საწარმოსათვის (მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად), აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთათვის.

სსრ კავშირის ახალი საავტერინარო წესდების შემოღების მიზანია ვეტერინარული ზედამხედველობის გაუმჯობესება, მეცხოველეობის საერთო კულტურის ამაღლება და, აქედან გამომდინარე, — მეცხოველეობის პროდუქტების გადიდება.

(საკდესი).

ჩვენს ქალაქს — 50 წელი
საბჭოჭალიკი

1968 წლის 1 იანვრიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა სსრ კავშირის ახალი საავტერინარო წესდება, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა. საკდესის კორესპონდენტის თხოვნით, ამ საკანონმდებლო დოკუმენტის ძირითადი დებულებანი გაუშუქა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსმა, სსრ კავშირის მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარულმა ინსპექტორმა ა. დ. ტრეტიაკოვმა.

— სსრ კავშირის ახალ საავტერინარო წესდებაში დაზუსტებული და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და კერძო პირების მოვალეობანი ცხოველების შენახვის ვეტერინარულ-სანიტარული წესდების შესრულებაში. ზედამხედველობა უწესდება ყველა სახეობის შინაურ პირუტყვს, აგრეთვე ფრინველს, ბეწვიან და ზოოპარკის ნადირს, თევზსა და ფუტკარს, — აღნიშნა ა. დ. ტრეტიაკოვმა.

ძლიერდება სახელმწიფო საავტერინარო სამსახურის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი. ამ სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნები, ისევე როგორც წინათ, სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და საწარმოსათვის (მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად), აგრეთვე ცალკეული მოქალაქეებისათვის.

წესდების ერთ-ერთ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირში საავტერინარო დახმარება უფასოა. ჩვენი ქვეყნის საავტერინარო სამსახურს ახორციელებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს საშუალებით, რომლის გადაწყვეტილებანი და მითითებანი მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველასათვის სავალდებულოა.

წესდებით გათვალისწინებულია მრავალი პრაქტიკული საკითხი, კერძოდ, დაწესებულია 30 დღის იზოლაციის ვადა მეურნეობაში ახლად მიღებული პირუტყვისათვის. ამავე დროის მანძილზე საერთო ჯოგებში არ შეიძლება იმ ცხოველების შეშვება, რომლებიც მოქალაქეებმა პირადი სარგებლობისათვის შეიძინეს.

მთელ ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია ყველა სახეობის ცხოველთა შენახვა უზედამხედველოდ. ამ საქმის კონტროლი ეკისრება ადგილობრივ საავტერინარო სამსახურებსა და ტერიტორიულ უწყებათა ხელმძღვანელებს.

საავტერინარო ზედამხედველობის სანქცია თუ არ იქნა, ისე არ შეიძლება პირუტყვის გადარეკვა. ცხოველების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის უფლებას იძლევა საავტერინარო ცნობა. საზღვარგარეთიდან ცხოველების შემოსაყვანად ეწყობა სასაზღვრო საკონტროლო საავტერინარო საგუშაგოები.

წესდებით განსაზღვრულია აგრეთვე პირუტყვის საკარანტინო დაავადებანი, საავტერინარო რეგლამენტის დარღვევისათვის დაჯარიმების წესი და სხვა საკანონმდებლო აქტები.

სსრ კავშირის ახალი საავტერინარო წესდების შემოღების მიზანია გაგაუმჯობესოთ ვეტერინარული ზედამხედველობა, ავამაღლოთ მეცხოველეობის საერთო კულტურა და, როგორც ამის შედეგი, გავზარდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა, მეცხოველეობის პროდუქცია.

საკდესის ინტერვიუ

სსრ კავშირის საავეტერინარო წესდება

დიდი მკრაგი

საკდესის კორესპონდენტი ვ. შევჩენკო კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან გვატყობინებს, რომ 4 იანვარს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოხდა.

გეოლოგებმა დაამთავრეს ახალი საბადოს დაზვერვა. მათი გამოანგარიშებით, საბადო შეიცავს ოქროს ქვიშრობის დიდ მარაგს.

ახალი ტრასა

ამურის კომსომოლსკი, 5 იანვარი. (საკდესი). დღეს დამთავრდა ოხა-კომსომოლსკის ნავთობსადენის მეორე ხაზის უბნის მშენებლობა, რომელიც ტაიგის ტრასის ყველაზე მაღალ დონეზე მდებარეობს. ნავთობი სომონის ველტეხილზე გადადის ნავთობსადენის 24-კილომეტრიანი მონაკვეთით.

მსჯელობენ მაღალმთიანი რაიონის კომუნისტები

ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი კამპანია — პარტიული კონფერენციები. გუშინწინ ლენტებში გაიმართა მორიგი რაიონული პარტიული კონფერენცია, რომლის ანგარიშს დღეს ვაქვეყნებთ. საზოგადოებრივი კორესპონდენტი ა. გასვიანი წერილის ავტორია „კომუნისტის“

გუშინწინ, 4 იანვარს, დიდი საუბარი ჰქონდათ საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის კომუნისტებს. ლენტების რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა საქმიანი სჯა-ბაასი გააჩაღეს იმაზე, თუ რა მუშაობა გახდა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში, რა დადებითი გამოცდილება შეიძინა მან ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში, რა დარჩა გაუთავლისწინებელი და გასაკეთებელი, რა გზებითა და საშუალებებით უნდა მიაღწიოს შემდგომ წარმატებას.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ხაბულიანმა, აგრეთვე კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდი, რომელიც ორ წელს მოიცავს, ნაყოფიერი იყო ლენტელი მშრომელთათვის, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

განსაკუთრებით ენერგიულად იშრომეს გასულ — საიუბილეო წელს; ამან საშუალება მისცა საზოგადოებრივ მეურნეობებს შარშან მნიშვნელოვნად აემაღლებინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, გაეზარდათ საზოგადოებრივი ჯოგის სულადობა. 1967 წელს 1966 წლთან შედარებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 6 პროცენტით გადიდდა, ხოლო საერთო მოსავლის მატებამ 600 ცენტნერი შეადგინა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 746 სულით გაიზარდა, მათ შორის ძროხისა — 130-ით, ხორცის წარმოება 714 ცენტნერით გადიდდა. ამავე პერიოდში საშუალოდ ერთ ძროხაზე 109 კილოგრამით მეტი რძე იქნა მიღებული.

ვადამდე და გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

მაგრამ როგორც მომხსენებელმა, ისე ორატორებმა — სასაშის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანმა ი. ონიანმა, საყდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. გვიდიანმა, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ო. ზურაბიანმა, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ჯამბურიძემ და სხვებმა აღნიშნეს, ამ მიღწევების მიუხედავად სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. და ეს იმიტომ, რომ ზოგან სრულად არ იყენებენ არსებულ რეზერვებს. ყველაფერი არ კეთდება კოლმეურნეობათა საქმიანობაში არსებული ხარვეზებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ბევრ კოლმეურნეობაში რაციონალურად არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად ვარგის მიწებს. უფრო მეტიც. ახალი მიწების ათვისების ნაცვლად ნათესი ფართობები შეამცირეს ლენტების, ხოფურის, თეკალის, ჩიხარეშისა და კიდევ ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობებმა.

ზოგან ჯერ კიდევ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ნაკლოვანებებია შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, აღრიცხვა-ანგარიშსწორებისა და კადრებთან მუშაობის საქმეში.

კონფერენცია შეეხო რაიონის სატყეო მეურნეობის მუშაობაში არსებულ ხარვეზებს, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეებით სარგებლობის წესების დარღვევის ფაქტებს.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმებისა და პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რაიონის კირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს და ქმედითი გახადეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მათი უურადღების ცენტრში იდგა მახლობის აღზრდა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებას ემსახურება 400-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი, 70-ზე მეტი პროპაგანდისტი, 80-ზე მეტი ლექტორი და პოლიტიკური მომხსენებელი, საზოგადოება „ცოდნის“ 120 ლექტორი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, ადგილობრივი გაზეთი და რადიო. მშრომელთათვის სისტემატურად იკითხება მოხსენებები, საუბრები, ლექციები, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები და თეორიული კონფერენციები.

პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. გაიზარდა მშრომელთა ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისადმი.

კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეში შარშან წარმატებებთან ერთად იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ლენტების, ლეუშერის, მელეს, ხაჩუშის საკოლმეურნეო პირველი პარტორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას. ნაკლოვანებებია ზოგიერთი პოლიტკოლის მუშაობაში მიმდინარე სასწავლო წელსაც.

უკანასკნელ ხანს რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს მშრომელებთან პოლიტიკური მუშაობის მრავალ ფორმას. მაგრამ ამასთანავე მომხსენებელი და ორატორები ლაპარაკობდნენ იმ არასახარბიელო მდგომარეობაზეც, რასაც მთელ [illegible] კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში აქვს ადგილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საქმეში.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რაიონის ყველა სოფელი ჯერ კიდევ არ არის რადიოფიცირებული.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისა და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა პირველადი პარტორგანიზაციების როლი, გაძლიერდა მათი გავლენა კოლექტივების შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება პარტიაში მიღების საქმეს, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტორგანიზაცია გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ამასთან ამ საქმეშიც არის ხერხოსული ნაკლოვანებანი. არის [illegible] პარტიის [illegible] ნაჩქარევად, წინასწარ შეუფერებლად. ასეთი [illegible] [illegible] პარტორგანიზაციებში.

კონფერენციაზე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ი. შავრეშიანმა (ჩოლურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ე. ხაბულიანმა (განათლების განყოფილების გამგე), მ. გაზდელიანმა (ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დირექტორი) და სხვებმა, სულ 17 კაცმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი.

• • •

შედგა ახალარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ლენტების რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ი. ხაბულიანი, მეორე მდივნად — ბ. მელაძე.

ა. გასვიანი,
ლენტების რაიგაზეთ „საბჭოთა სვანეთის“ რედაქტორის მოადგილე.

ხუთწლედი — ვადამდე!

მცხეთელთა სიტყვა და საქმე

დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი. ძველი წელი მცხეთელებმა დიდი წარმატებებით ხელიდამშვენებულმა გააცილეს და ესტაფეტა სიამოდოდ გადასცეს 1968 წელს. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ბევრი რამ აქვთ სასიხარულო. კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების თავდადებული შრომით საიუბილეო წელს მცხეთელებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა 151 პროცენტით შეასრულეს, ყურძნისა — 180,8 პროცენტით, ბოსტნეულისა — 108,5 პროცენტით, ხილისა — 110,4 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 136,6 პროცენტით. ასევე დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების გეგმები.

ეს საგულისხმო ციფრები დასახელა მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე მომხსენებელმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ.

— რაიონის მშრომელებს ეამაყებათ დიდი წარმატებები, მათი შრომის მაღალი შეფასება, — თქვა შეკრებაზე პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კავთიაშვილმა. საკმარისია დავასახელოთ ასეთი ფაქტი, — განაგრძო მან, — 1965 წლის მაჩვენებლებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა მოთავრმა საგამოფენო კომიტეტმა რაიონი დაჯილდოვა მესამე ხარისხის დიპლომით, 1966 წლის შედეგებით — მეორე ხარისხის დიპლომით, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების ინსტიტუტი კი მესამე ხარისხის დიპლომით, ბევრმა მუშაკმა დაიმსახურა გამოფენის ბრონჯაოს მედლები. სასიხარულოა ის, რომ 1967 წლის მიღწევებით რაიონი გამოფენის მონაწილე გახდა ფართო ჩვენებით, ყველაფერი ეს მოგვიწოდებს უკეთესად ვიშრომოთ ხუთწლედის მესამე წელს და მეტი წარმატებები მოვიპოვოთ.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ მტკიცე საფუძველს უყრიან მარცვლეულის, ყურძნის, ბოსტნეულის და ყველა კულტურის უხვ მოსავალს. აგროვადებში დაითესა საშემოდგომო მარცვლეული კულტურები 8.133 ჰექტარზე ნაცვლად 8.080 ჰექტარისა. დათესილია უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშები — „უფხო-1“ და „მოწინავე“. საგაზაფხულო კულტურები დაითესება 8.000 ჰექტარზე, ნიადაგი მთლიანად მზრალად არის მოხნული. მზად არის საჭირო თესლი.

მანქანათა საგამოცდო სადგურის მეკანიზაციებმა თავი ისახელეს გეგმების შესრულებაში. ამას ისიც მოწმობს, რომ აქ თითქმის ყველა მუშა იღებს პრემიას. კარგი წარმატებები მოიპოვეს ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, ძალისის, მუხრანის, საგურამოს კოლმეურნეობებმა. ამ მეურნეობებში ფართოდ არის დანერგილი მექანიზაცია.

— რაიონის სოფლის მშრომელთა წარმატებებში, — განაცხადა მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორმა მ. დალაქიშვილმა, — მეცნიერების წელილიც არის. შემუშავებულია რეკომენდაციები მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის. დიდი გასაჭანი მიეცა ელიტური თესლის წარმოებას. ეს თესლი დიდი რაოდენობით ეძლევათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ინსტიტუტი გამოფენის მონაწილეა და ჩვენს სისტემაში მომუშავე მეცნიერთა უმრავლესობა დაჯილდოებულია გამოფენის მედლებით.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვაზე ილაპარაკა სახელმწიფო სასელექციო სადგურის დირექტორმა მ. წულუკიძემ. აქ გამოყვანილი 24 ჯიში უკვე დანერგილია წარმოებაში. სიმინდისა და გაზაფხულის ხორბლის ჯიშები დაინერგა შუა აზიის რესპუბლიკებში. შეკრების მონაწილეებმა კმაყოფილების გრძნობით მოისმინეს მუხრანის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ა. ბურდულის, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის გ. შიხაშვილის, მანქანათა საგამოცდო სადგურის პარტბიუროს მდივნის გ. ზაქაიძის, ძალისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ბეკაიძის, მუხრანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ს. ბორდანიშვილის, ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის გ. მოხეკიშვილის და სხვების გამოსვლები. მათ ანალიზი გაუკეთეს შარშანდელ შედეგებს და პირობა დადეს ახალ წელს უფრო დიდი წარმატებები მოიპოვონ.

პარტიის მცხეთის რაიკომის მეორე მდივანმა ა. ბარისაშვილმა შეკრების მონაწილეებს გააცნო რაიონის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელიწადში შესასრულებლად. მცხეთელთა ვალდებულებებში ნათქვამია:

გულდასმით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ, აგრეთვე საგარეჯოელი მექანიზატორთა თაოსნობას და კარგად ვითვალისწინებთ იმას, რომ 1970 წელს — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტეთ 1968 წელს საშოგლლო მიბაცთ 4.000 ცენტნერი ხორცი, 17.000 ცენტნერი რძე, 76.000 ცენტნერი ყურძენი, 23.000 ცენტნერი ხილი, 50.000 ცენტნერი ბოსტნეული. რაიონის მშრომელთა საქმიანობის ანალიზმა, რეზერვებმა დაგვარწმუნა, რომ 1968 და 1969 წლებისათვის შეესასრულებთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, მარცვლეულის, კარტოფილის, ყურძნის წარმოების ხუთწლიან გეგმას.

ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მცხეთელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 20.000 ცენტნერ მარცვლეულს, 180.000 ცენტნერ მცხეთურ ყურძენს. 1970 წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდება 4.000 ცენტნერი ხორცი, 16.000 ცენტნერი რძე. ხუთწლედის ბოლოსათვის ოქროს ყუნანაში გეგმის გადამეტებით მცხეთის. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შეიტანს 80.000 ცენტნერ ყურძენს, მუხრანის სასწავლო საცდელი მეურნეობა — 7.000 ცენტნერ ყურძენს, ძალისის კოლმეურნეობა — 5.500 ცენტნერ ყურძენს, მუხრანის კოლმეურნეობა — 5.000 ცენტნერ ყურძენს.

რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები.

შემდეგ შეკრების მონაწილეთა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ გ. მიქელაძემ პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანს გ. კავთიაშვილს გადასცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის მეორე ხარისხის დიპლომი, რომლითაც დაჯილდოებულია რაიონი. მასვე გადასცა გამოფენის ოქროს მედალი, რითაც დაჯილდოებულია რაიკომის პირველი მდივანი გ. კავთიაშვილი. მესამე ხარისხის დიპლომი გადაეცა მიწათმოქმედების ინსტიტუტს, ხოლო მის დირექტორს მ. დალაქიშვილს — ბრონჯაოს მედალი. ბრონჯაოს მედლები მიიღეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლაშხმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. შიხაშვილმა, მუშამ რ. ბულაცაშვილმა, მერგოლურმა ბ. ქერდიკაშვილმა, მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ საბჭოთა მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ხ. თოხვაძემ.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსი

პოლიტეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად

კაპიტალიზმი არის უკანასკნელი ექსპლოატატორული, კლასობრივი ანტაგონიზმზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლითაც, როგორც მარქსი ამბობს, „თავიდება ადამიანთა საზოგადოების წინასისტორია“. კაპიტალიზმი წარმოშვა როგორც საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგი.

კაპიტალიზმის წარმოშობისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობა: პირველი — სიმდიდრის დაგროვება მცირერიცხოვანთა ხელში ფულის, წარმოებისა და საარსებო საშუალებათა სახით და მეორე — წარმოშობა ადამიანთა მასებისა, რომლებიც, ჯერ ერთი, იურიდიულად პირადად თავისუფალი არიან და, მეორე, მოკლებული არიან წარმოებისა და არსებობის საშუალებებს, რის გამო იძულებული ხდებიან დაიდგან კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელი.

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებებზე კერძოკაპიტალისტური საკუთრება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველაფერზე გაბატონებული ძალაა კაპიტალი.

კაპიტალის თავდაპირველი ფორმა ფულია. კაპიტალი ისტორიულად გვევლინება როგორც ფული. მართალია, ფული კაპიტალის საყოველთაო, უნივერსალური ფორმაა, მაგრამ ყოველი ფული არ არის კაპიტალი, ისე როგორც ყოველი ოქრო არ არის ფული, თუმცა ყოველი ფული არის ოქრო.

მაგალითად, ფული წვრილი საქონელმწარმოებლის ხელში, რომელიც იძენს წარმოების საშუალებებს და საკუთარი შრომით ამზადებს საქონელს, არ არის კაპიტალი. მაგრამ ფული კაპიტალისტის ხელში, რომელიც იძენს წარმოების საშუალებებს დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მიზნით, ანუ გამდიდრებისა და მოგების მიღების მიზნით, არის კაპიტალი. კაპიტალი არის ღირებულება, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციის საფუძველზე ქმნის ზედმეტ ღირებულებას.

ფულს კაპიტალად გადაქცევის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს სამუშაო ძალის საქონლად არსებობა. სამუშაო ძალა — ეს არის ადამიანის უნარი შრომისადმი. კაპიტალიზმის პირობებში სამუშაო ძალა წარმოადგენს საქონელს, ესე იგი ყიდვა-გაყიდვის ობიექტს.

კაპიტალიზმის დროს საქონელწარმოება აღწევს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ისეთ საფეხურს, როცა ბაზარზე იყიდება აგრეთვე სამუშაო ძალა, როგორც სპეციფიკური საქონელი. ამგვარად, კაპიტალიზმი წარმოადგენს საქონელწარმოების საყოველთაო ფორმას, მის უმაღლეს ეტაპს. კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შემდეგ სამუშაო ძალა არ იყიდება. იგი აღარ წარმოადგენს საქონელს. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა სოციალისტური სისტემის ქვეყნების გამოცდილება და ეკონომიური ურთიერთობა.

სამუშაო ძალა საქონელია. მას აქვს თავისებურებანი, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა ჩვეულებრივი საქონლისაგან. რაკი სამუშაო ძალა საქონელია, მას, როგორც ყოველ საქონელს, უნდა ჰქონდეს ღირებულება და სახმარი ღირებულება. სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებათა ჯამით, რაც აუცილებელია მუშის არსებობის შენარჩუნებისა და შრომის უნარის აღდგენისათვის. სამუშაო ძალის ღირებულება უნდა შეიცავდეს აგრეთვე ოჯახის შენახვისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა ღირებულებას პლუს ზოგიერთი დანახარჯი მუშათა კლასის მოზარდი თაობის სწავლისათვის.

სამუშაო ძალის ღირებულება და შრომის პროცესში ამ ძალის მოხმარებით შექმნილი ღირებულება ორი სხვადასხვა სიდიდეა. სამუშაო ძალის საქონლის ამ თავისებურებაში მდგომარეობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბოლო.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმა ფულია. ფული, ოქრო, ადგილობრივი გაზეთი და რადიო. მშრომელთათვის სისტემატურად იკითხება მოხსენებები, საუბრები, ლექციები, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები და თეორიული კონფერენციები.

პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. გაიზარდა მშრომელთა ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისადმი.

კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეში შარშან წარმატებებთან ერთად იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ლენტების, ლეუშერის, მელეს, ხაჩუშის საკოლმეურნეო პირველი პარტორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას. ნაკლოვანებებია ზოგიერთი პოლიტკოლის მუშაობაში მიმდინარე სასწავლო წელსაც.

უკანასკნელ ხანს რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს მშრომელებთან პოლიტიკური მუშაობის მრავალ ფორმას. მაგრამ ამასთანავე მომხსენებელი და ორატორები ლაპარაკობდნენ იმ არასახარბიელო მდგომარეობაზეც, რასაც მთელ [illegible] კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში აქვს ადგილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საქმეში.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რაიონის ყველა სოფელი ჯერ კიდევ არ არის რადიოფიცირებული.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისა და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა პირველადი პარტორგანიზაციების როლი, გაძლიერდა მათი გავლენა კოლექტივების შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება პარტიაში მიღების საქმეს, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტორგანიზაცია გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ამასთან ამ საქმეშიც არის ხერხოსული ნაკლოვანებანი. არის [illegible] პარტიის [illegible] ნაჩქარევად, წინასწარ შეუფერებლად. ასეთი [illegible] [illegible] პარტორგანიზაციებში.

კონფერენციაზე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ი. შავრეშიანმა (ჩოლურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ე. ხაბულიანმა (განათლების განყოფილების გამგე), მ. გაზდელიანმა (ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დირექტორი) და სხვებმა, სულ 17 კაცმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი.

• • •

შედგა ახალარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ლენტების რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ი. ხაბულიანი, მეორე მდივნად — ბ. მელაძე.

ა. გასვიანი,
ლენტების რაიგაზეთ „საბჭოთა სვანეთის“ რედაქტორის მოადგილე.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსი

პოლიტეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად

ის არსის ნამდვილი გასაღები, მიხი მექანიზმის საიდუმლოება.

წარმოების ორგანიზაციისათვის კაპიტალისტი იხდენს ფულადი კაპიტალის ავანსირებას, რომლის ნაწილს იგი ხარჯავს წარმოების საშუალებათა შეძენაზე (მანქანები, მოწყობილობა, ნედლეული, მასალები), ხოლო ნაწილს — სამუშაო ძალის შეძენაზე. ახლა მის განკარგულებაშია წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორები. იწყება კაპიტალისტური წარმოების პროცესი, რომელიც ხასიათდება ორი თავისებურებით: ჯერ ერთი, მუშა მუშაობს კაპიტალისტის კონტროლის ქვეშ; მეორე, წარმოების პროცესში შექმნილი პროდუქტი შეადგენს კაპიტალისტის, ანუ წარმოების საშუალებათა მესაკუთრის, კუთვნილებას. როცა საქონელი მზად არის, კაპიტალისტი ჰყიდის მას.

როგორია დამზადებული საქონლის ღირებულება? ამ ღირებულებაში შედიდა ამ საქონლის დამზადებაზე დახარჯული წარმოების საშუალებათა (ნედლეულის, მასალის, სათბობის, ელექტროენერგიის, მანქანების ცვეთის და სხვ.) ღირებულება, რაც, ვთქვათ, შეადგენს 500 დოლარს. გარდა ამისა, საქონლის ღირებულებაში შედიდა ამ საქონლის დამზადებაზე მუშების მიერ დახარჯული შრომით შექმნილი ახალი ღირებულება, რაც, დავუშვათ, შეადგენს 200 დოლარს. მაშასადამე, ამ საქონლის სრული ღირებულება შეადგენს 700 დოლარს. რა დაუჯდა კაპიტალისტს ამ საქონლის დამზადება? ცხადია, იგი მას დაუჯდა მის დამზადებაზე დახარჯული კაპიტალი.

მოხმარებულ წარმოების საშუალებებში მრეწველმა კაპიტალისტმა გადაიხადა 500 დოლარი, ე. ი. კაპიტალი, რომელიც შეესაბამება 250 საათის შრომას, მაგრამ ახალი საქონლის ღირებულებაში, გარდა ამ 250 საათის შრომისა, შევიდა კიდევ 100 საათის შრომა (ნაგულისხმევია, რომ მოცემულ საწარმოში მუშაობს 10 მუშა, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 10 საათს), რომელიც დახარჯეს დაქირავებულმა მუშებმა მოცემული კაპიტალისტის საწარმოში. თავისი შრომით მათ შექმნეს 200 დოლარის ახალი ღირებულება.

იბადება კითხვა: აუნაზღაურა თუ არა კაპიტალისტმა მუშებს სრულად მათი დახარჯული შრომა? გადაუხადა თუ არა მათ ახლად შექმნილი ღირებულება მთლიანად? ეს არის კითხვა, რომელიც უნდა გახსნას კაპიტალისტის ექსპლოატაციის მთელი საიდუმლოება.

ამ უფლ ზედმეტი შრომით შექმნილ ღირებულებას ეწოდება ზედმეტი ღირებულება. დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომით არის შექმნილი ზედმეტი ღირებულება, რომლის მეშვეობით მითვისება შეადგენს კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსს. ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისება არის კაპიტალისტური წარმოების მიზანი, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი. მარქსი ამბობს, რომ „ზედმეტი ღირებულების წარმოება, ე. ი. მოგების მიღება — ასეთია ამ წარმოების წესის აბსოლუტური კანონი“.

ზედმეტი შრომა, ზედმეტი პროდუქტი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში არსებობს, თუმცა სრულიად განსხვავებული შინაარსით, მიზანდასახულობით. „ზედმეტი შრომა საერთოდ, როგორც მოცემულ მოთხოვნილებათა ოდენობას გადამეტებული შრომა, — გვასწავლის მარქსი, — ყოველთვის უნდა არსებობდეს, მაგრამ კაპიტალისტურ სისტემაში, ისევე როგორც მონურ სისტემაში და სხვა, ზედმეტ შრომას მხოლოდ ანტაგონისტური ფორმა აქვს და მას ავსებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სრული უსაქმობა“, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს ზედმეტი შრომა და მის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქტი „რჩება არა მესაკუთრეთა კლასს, არამედ ყველა მშრომელთ და მხოლოდ მათ“.

კაპიტალისტური წარმოების ორგანიზაციისათვის კაპიტალის მიერ მოცული ავანსირებული კაპიტალი ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილით კაპიტალისტი იძენს წარმოების საშუალებებს. წარმოების საშუალებათა ღირებულება არ იცვლება მოცემულ საწარმოში, წარმოების პროცესში. იგი მუდმივია, ამიტომ მას ეწოდება მუდმივი კაპიტალი. კაპიტალის მეორე ნაწილით მრეწველი კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას. მუშა თავისი შრომით ქმნის ახალ ღირებულებას, რომელიც აღემატება სამუშაო ძალის ღირებულებას. ამრიგად, კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულების სიდიდე კაპიტალისტური წარმოების პროცესში იცვლება, ამიტომ კაპიტალის ამ ნაწილს ეწოდება ცვალებადი კაპიტალი.

კაპიტალისტი ფრიად დაინტერესებულია ავანსირებული კაპიტალის ეფექტურად გამოყენებით, იმით, თუ რამდენ ზედმეტ შრომას შეიწოვს. იგი: ამის მკაფიო მაჩვენებელია წარმოადგენს ის თანაფარდობა, რომელიც მყარდება აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროს შორის. ერთიანი სამუშაო დღე იყოფა ორ ნაწილად: აუცილებელი დრო (შრომა) და ზედმეტი დრო (შრომა). ზედმეტი შრომა განხორციელებულია ზედმეტ ღირებულებაში, ხოლო აუცილებელი შრომა შეესაბამება ცვალებად კაპიტალს (ხელფასს). ზედმეტი ღირებულების ნორმა ეწოდება ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ცვალებად კაპიტალთან, გამოხატულს პროცენტებით. ზედმეტი ღირებულების ნორმა არის მუშის ექსპლოატაციის ხარისხის მაჩვენებელი.

ხელფასის ფორმა, როგორც კაპიტალისტში, ისე, სამწუხაროდ, მუშაშიც, ქმნის ისეთ ყალბ წარმოდგენას, რომ თითქოს კაპიტალისტი უნაზღაურებს მუშას მისი შრომით შექმნილ მთელ ახალ ღირებულებას და არა მხოლოდ აუცილებელ შრომას. ამით ხელფასი ჩქმალავს, შენიღბავს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. ხელფასის მარქსისტული თეორია ამშიშლებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის საიდუმლოებას, ააშკარავებს მას და უჩვენებს როგორ ინიღბება ეს ექსპლოატაცია.

მარქსისტული მოძღვრებით ყველგან და ყოველთვის ადამიანები აწარმოებენ ერთობლივად, ჯგუფურად, საზოგადოებრივად, როცა ძატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ისინი მჭიდროდ არიან ურთიერთთან დაკავშირებული. ამიტომ წარმოება ყველგან და ყოველთვის არის საზოგადოებრივი წარმოება. კაპიტალიზმის პირობებში კი წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი ადიდებ უფრო ფართოვდება და იზრდება მისი მასშტაბები.

კაპიტალისტური საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება ეროვნული შემოსავალი. ეროვნული შემოსავალი ეწოდება განსაზღვრულ დროის მონაკვეთში, ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში, მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში დასაქმებული მუშების შრომით შექმნილ ახალ ღირებულებას. მ

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა 4 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დ. რასკს გადასცა საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ ამერიკის ავიაცია კვლავ უარჩაღურად დაესხა თავს საბჭოთა სავაჭრო გემს.

მიმდინარე წლის 4 იანვარს 11 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, როცა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები ბარბაროსულად თავს ესხმოდნენ ჰაიფონს, დაბომბეს საბჭოთა თბილისი „პერესლავლ-ზალესკი“, რომელიც ნავსადგურში იდგა. საავიაციო ბომბის აფეთქების შედეგად საბჭოთა გემი, რომელმაც სურსათი ჩაუტანა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას, სერიოზულად დაზიანდა: წყლიერიდან გამოვიდა გემის მექანიზმები, დაიმსხვრა კიჩო, დაზიანდა ხომალდის კორპუსი.

სსრ კავშირის მთავრობას წინათ უკვე მიუქცევია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება იმისათვის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ ნაოსნობის თავისუფლების დარღვევას, მათს ყაჩაღურ აქტებს იმ საბჭოთა გემების მიმართ, რომლებიც მშვიდობიან რეისებს აწარმოებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებში. თბილისელ „პერესლავლ-ზალესკიზე“ ამერიკის ავიაციის თავდასხმიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ გამოუტანია სათანადო დასკვნები ამ გაფრთხილებებიდან.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საბჭოთა გემზე თავდასხმისათვის პასუხისმგებელ პირთა დასჯას და სახწრაფო და ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას ასეთი მოქმედების აღსაკვეთად.

შექმნილი ვითარების გამო შესაბამისი სიბჭოთა უწყებანი იძულებული გახდებიან განსხორციელონ იმ საბჭოთა გემების უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებში მიდიან.

საბჭოთა გემების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების აგრესიული აქტების შესაძლო მძიმე შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას“.

ა. რაპაცკის ინტერვიუ

ვარშავა, 5 იანვარი. (საკდესი). ფრანგულმა ყოველთვიურმა „რეალიტემ“ გამოაქვეყნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. რაპაცკის ინტერვიუ.

ინტერვიუში, რომელიც პოლონეთის პრესის საგენტომ გაავრცელა, ა. რაპაცკი სსრ კავშირისა და პოლონეთის კავშირს უწოდებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს. პოლონეთისა და მისი აღმოსავლეთ მეზობლის ურთიერთობის საკითხი სამუდამოდ გადაჭრილია, — განაცხადა მან. დასავლეთით გერმანიის იმპერიალიზმს შორს დაახევინეს პოლონეთის საზღვრებიდან. პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მეზობლისათვის ამას ძირითადი მნიშვნელობა აქვს, ხაზი გაუსვა ა. რაპაცკიმ.

კითხვაზე, მოხდა თუ არა ბონის მთავრობის პოლიტიკაში რაიმე დიდი ცვლილებანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართო, მინისტრმა უპასუხა, რომ რაიმე სერიოზული ცვლილებანი ბონის პოლიტიკაში არ მომხდარა. შეიცვალა მხოლოდ მეთოდი, რომელიც ახლა იმით გამოიხატება, რომ ცდილობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იზოლაციას საგარეო ურთიერთობაში და მის ძირგამოთხრას შიგნიდან.

ა. რაპაცკი შეეხო ევროპის პრობლემებს და, კერძოდ, განაცხადა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღიარებულ იქნეს ევროპაში ატომური იარაღის გავრცელების საფრთხე.

რაპაცკი ბონს გულისხმობდა როცა თქვა: საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა და რომელსაც არ სურს ცნოს თავისი უახლოესი მეზობელი და ხელი აიღოს ტერიტორიულ პრეტენზიებზე სხვა ქვეყნების მიმართ.

ამ საფრთხის აღკვეთა ადვილად შეიძლება, თუ განხორციელდება ახალი ღონისძიებანი დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ევროპაში.

ა. რაპაცკიმ ერთ-ერთი კითხვის პასუხად ხაზი გაუსვა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დღის წესრიგში უნდა დაისვას ყველაზე აქტუალური საკითხები, რომლებიც შეეხება უშიშროებასა და თანამშრომლობას. ამ კონფერენციაში, როგორც მან თქვა, უწინარეს ყოვლისა მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპის ქვეყნებმა.

ტ. ქიუკო

საოპერო სიახლის გამარჯვება

ოთარ თაქთაქიშვილის „ხამი ნოველა“ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე

საოპერო ხელოვნების ბევრი მოყვარულისათვის უჩვეულო აღმოჩდა ეს წარმოდგენა. მოულოდნელი იყო იმ მაყურებლისათვის, რომელიც ახალ საოპერო ქმნილებაში ისევ კლასიკური ოპერის ტრადიციულ „ნორმებს“ ელოდა. ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე პირველად ვიხილეთ ამგვარი სპექტაკლი-ციკლი, სადაც თვითეული ნაწილს დამოუკიდებელი სახე აქვს. ამას გარდა, „კინემატოგრაფიული სისწრაფით ვითარდება თვითეული მთავრების ამბავი (კერძოდ — პირველი ორისა), იცვლება მოქმედების ადგილი და ამჯერად პოპულარული კლასიკური სპეკერო ფორმებისათვის, მათ შორის ტრადიციული გაშლილი არიებისათვის ადგილიც აღარ რჩება...

შეიძლება ბევრს აღეძრას საკითხი — ეს ნამდვილი ოპერაა თუ არა? ანდა — როგორი უნდა იყოს დღეს ოპერა? ამგვარი საკითხები უკვე კარგახანია თანამედროვე საოპერო ესთეტიკის ყურადღების ცენტრშია. ჯერჯერობით კი აქვე შევთანხმდეთ: დავუშვათ, რომ ო. თაქთაქიშვილის ახალი ქმნილება საოპერო ჟანრისაგან „გადახვევაა“, მივიჩნიოთ იგი თუნდაც ახალ ჟანრად (ან რაიმე ამგვარად) და შევეფასოთ უწინარეს ყოვლისა მისი მუსიკალურ-დრამატურგიული და თეატრალური ღირსებებიც, თავისებურებებისა და პერსპექტიულობის თვალსაზრისით.

„მიკროსურათების“ დინამიური მონტაჟის პრინციპი საფუძვლად დადო ამ ციკლის დრამატურგიას, სახელდობრ „ორ განაჩენსა“ და „ჯარისკაცს“. ცხადია, რომ ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის შესანიშნავი ნოველების თავისებურებებმა, მათმა პროზაულმა სახეებმა უკარნახა კომპოზიტორს მუსიკალური დრამატურგიის ეს უჩვეულო გზა, რომელიც ერმა ორგანულობით გამოირჩევა თავისი ცხოვრებისეული, ეროვნული ნიადაგის გამო. მაგრამ ამის სხვა ფაქტორებიც ცნობილია: იგი მოდის ჩვენი საუკუნის ნოვატორული მუსიკალური თეატრის სათავეებიდან. მიკროსურათების მონტაჟის ფეიერვერკი ხომ ჯერ პირველ მსოფლიო ომამდე ი. სტრავინსკიმ დაფრქვია თავის ბალეტ „პეტრუშკაში“; ე. წ. „ეინშტეინის“ დრამატურგიულმა პრინციპმა თავისი „გოლიათური მზრები“ გაშალა ს. პროკოფიევის საოპერო ქმნილებებში...

თანამედროვე მუსიკალურ-თეატრალური აზროვნების ურთულესი კომპლექსიდან ო. თაქთაქიშვილი ამჯერად სწორედ ამ მხარეს დაეწაფა. დაეწაფა იმ ფორმებს, რომლებიც ითავსებს ცხოვრებისეულ ხატებათა მთელ კალეიდოსკოპს. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ამ მხრივ რაიმე გაკაფულთან და მზამზარეულთან გვქონდეს საქმე — სწორედ ამ ზონტაჟის პრინციპის ბუნებრივი შემოქმედებითი ასიმილაცია მაღალი რანგის ოსტატობას, ამასთან მძაფრსა და ორგანულ ცხოვრებისეულ აზროვნებასა და ხედვას მოითხოვს.

ამ მაღალი რანგის ოსტატობას, მძაფრსა და ფაქიზ ცხოვრებისეულ ხედვას ახ ორგანულ შემოქმედებით ასიმილაციას ვხედავთ თაქთაქიშვილის „ნოველებში“. უწინარეს ყოვლისა ეს არის ღრმად ეროვნული ნაციონალური ტალანტი, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ტემპერამენტი, ეროვნული ენა, ეროვნული ფსიქეა, ეროვნული ბუნება, ეროვნული ბედი, ეროვნული ტანჯვა-ოხვრა, ეროვნული ოცნება, ეროვნული ბრძოლა, ეროვნული ტრაგედია, ეროვნული ტრაგიკომედია, ეროვნული ფანტაზია, ეროვნული ფანტასტიკა, ეროვნული ფილოსოფია, ეროვნული ეთიკა, ეროვნული ესთეტიკა, ეროვნული ეროტიკა, ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული... ეროვნული ეროვნული ეროვნული...